

დასკვნა

საზღვარგარეთ ავადმყოფის მკურნალობის
აუცილებლობის შესახებ

1. გვარი, სახელი -----პაციენტი ვოლფრამის სინდრომით (წარმოდგენილ
დოკუმენტაციაში გვარი ვერ ამოვიკითხე)-----
2. ასაკი -----?-----
3. საცხოვრებელი ადგილი -----?-----
4. დიაგნოზი -----ვოლფრამის სინდრომი -----

5. საზღვარგარეთ ავადმყოფის მკურნალობის აუცილებლობის მიზეზი (დეტალური
დასაბუთებით) -----

-----ვოლფრამის სინდრომი (DIDMOAD) თავისთავად გულისხმობს
ერთის მხრივ, ნერვული სისტემის პათოლოგიას ოპტიკური ნერვის ატროფიით,
სიყრუვითა და ტვინის უპირატესად ღეროს სტრუქტურების დაზიანებით, და მეორეს
მხრივ, უშაქრო და შაქრიანი დიაბეტის არსებობას. უროლოგიური პათოლოგიის
თანხვედრა აუცილებელი არ არის არც-ერთი გენეტიკური ფორმისას, თუმცა
ნეიროპათიისა და ვოლფრამის სინდრომის გამო ზოგიერთ პაციენტში აღინიშნება ღუნე, დიდი
ტევადობის მქონე შარდის ბუშტი. დოკუმენტში აღნიშნულია მეგაურეთერის საწყისი
სტადიის არსებობა, რასაც მხოლოდ დაკვირვება უნდა და რაიმე მკურნალობას არ
მოითხოვს, მაქსიმუმ ანტიბიოტიკოპროფილაქტიკას, თუმცა ოდესმე შეიძლება
საპლასტიკე გახდეს. რაც შეეხება წერილის ტექსტში მოყვანილ “DD კუნთების
სისუსტეს მცირე პერისტალტიკით”, რა იგულისხმები, ძნელი სათქმელია. თუკი
საუბარია დეტრუზორის კუნთის ჰიპო-კონტრაქტილობაზე, მისი მკურნალობა არსად
არ არსებობს, აქაც დაკვირვება იგულისხმება და ოდესმე ბავშვს შეეთავაზება
პერიოდული სტერილური კათეტერიზაციის პროგრამა შარდის ბუშტის საათობრივად
დასაცლელად. -----

6. რეკომენდირებული ქვეყანა (ქვეყნები), საზღვარგარეთის სამედიცინო ცენტრი

-----როგორც ხედავთ, ვოლფრამის სინდრომი წარმოადგენს იშვიათ პოლი-
პათოლოგიურ მდგომარეობას, რასაც სჭირდება მულტი-დისციპლინური მიდგომა.
უროლოგიური პრობლემის მექანიზმი და პათოგენეზი ცნობილია, მაგრამ ყოველთვის
ადვილი სამართავი არ არის ასეთ ნევროლოგიურად და ენდოკრინოლოგიურად რთულ
პაციენტებში. -----

ექსპერტი:

ზაზა ქარსყიაია

(ხელმოწერა)

თარიღი:

27.08.2020

